დანართი 1

დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
2024 წლის 14 თებერვალი დადგენილებით N09

სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

თბილისი
2024

<u>შინაარსი</u>

მუხლი 1.	საგანი და მოქმედების სფერო	3
მუხლი 2.	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	3
მუხლი 3.	მოწვეული პერსონალი	3
მუხლი 4.	აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი	3
მუხლი 5.	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი	4
მუხლი 6.	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ	6
მუხლი 7.	აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები	8
მუხლი 8.	მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ	9
მუხლი 9.	კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის	9
მუხლი 10.	წარმოსადგენი დოკუმენტები	10
მუხლი 11.	აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება	11
მუხლი 12.	გათავისუფლების პროცედურები	12
მუხლი 13.	დასკვნითი დებულებები	12

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების სტატუსს შპს ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“), განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორის თანამდებობის დაკავების წესებს, კონკურსის ჩატარების წესს, განმცხადებლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესებს, კრიტერიუმებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

2.1. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება:

2.1.1. პროფესორი - უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;

2.1.2. ასოცირებული პროფესორი - მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;

2.1.3. ასისტენტ-პროფესორი - თავისი კომპეტენციის შესაბამისად, მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

2.1.4. ასისტენტი - ძირითად, საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში, ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

2.2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა რეგულირდება ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 3. მოწვეული პერსონალი

3.1. უნივერსიტეტის მოწვეულ პერსონალს მიეკუთვნება:

ა) მოწვეული ლექტორი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს ან/და წარმართავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესს, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;

მუხლი 4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

4.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

4.2. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების შესახებ (ვაკანტური თანამდებობა, სფერო (შესაბამისი/მომიჯნავე), უნარ-ჩვევები, სკოლა, პოზიციის ვადა, მოთხოვნები (მაგ. გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა და ა.შ), წარმოსადგენი დოკუმენტები, ვაკანსიების რაოდენობა და სხვა ინფორმაცია) ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში ან ცხადდება შესაბამისი დასაქმების ელექტრონულ ვებ-გვერდ(ებ)ზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით

დადგენილი წესით, უნივერსიტეტში საბუთების წარდგენამდე, სულ მცირე, ერთი თვით ადრე. საბუთების წარდგენის ვადა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი

5.1. კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს უნივერსიტეტში ვაკანტური ადგილების არსებობის და წინა კონკურსის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

5.2. უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსის ორგანიზება-ჩატარების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია.

5.3. საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და არ შეიძლება იყოს 3 (სამი)-ზე ნაკლები. კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით შედის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელი ხმის მიცემის უფლებით და კომისიის მდივანი, რომელიც არ მონაწილეობს ხმის მიცემის პროცედურაში.

5.4. კომისია უნდა შედგებოდეს იმ, ან მომიჯნავე მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციალისტებისაგან (რაც დასტურდება მათი კვალიფიკაციით, პუბლიკაციებითა ან/და სწავლების გამოცდილებით), რომელიც მითითებულია განცხადებაში. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწვეულ იქნან საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

5.5. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის საქმიანობას წარმართავს და ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც საკონკურსო კომისიის შექმნისთანავე ნიშნავს რექტორი. კომისიის თავმჯდომარედ ასევე შეიძლება დაინიშნოს მოწვეული პირი. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ: რექტორი, პრორექტორები, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სკოლის/დეპარტამენტის/სამსახურის/ცენტრის ხელმძღვანელი.

5.6. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

- 5.6.1. ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმს;
- 5.6.2. თავმჯდომარეობს სხდომებს, ზედამხედველობს კონკურსის ორგანიზება-ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.7. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც ინიშნება რექტორის ბრძანებით კომისიის შექმნისთანავე.

5.8. საკონკურსო კომისიის მდივანი:

- 5.8.1. ადგენს კომისიის დღის წესრიგის პროექტს, ხელს აწერს სხდომის ოქმს;
- 5.8.2. აცნობს კომისიის წევრებს საკონკურსო კომისიაში შესულ დოკუმენტაციას;
- 5.8.3. ახორციელებს კონკურსთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.9. უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით,

რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

5.10. კომისია ამოწმებს კანდიდატის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის და ამ დებულების მოთხოვნებთან. გადაწყვეტილების მიღება ხდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე (საჩვენებელი ლექცია მხედველობაში მიიღება მხოლოდ არსებობის შემთხვევაში).

5.11. **კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:**

5.11.1. პირველ ეტაპზე ხდება შემოსული დოკუმენტაციის მიღება, რომელიც გადაეცემა კონკურსის გამომცხადებელ მხარეს. კონკურსის გამომცხადებელი მხარე, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად განიხილავს შემოსულ განაცხადებს, თუ რამდენად შეესაბამება შესაბამისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანამდებობისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია წინამდებარე დებულებით და კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მათი მეორე ეტაპზე გადასვლის თაობაზე (აკადემიური/სამეცნიერო კონკურსის შემთხვევაში, გადარჩეული კანდიდატები ფასდებიან წინამდებარე დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებით). მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატთა მონაცემები ეგზავნება საკონკურსო კომისიას.

5.11.2. მეორე ეტაპზე შერჩეულ კანდიდატთან საკონკურსო კომისია ატარებს გასაუბრებას. კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს საჩვენებელი ლექციის ჩატარება. კანდიდატთან გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია ფასდება შესაბამისი შეფასების ფორმით. საჩვენებელი ლექცია ტარდება პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენაზე.

5.11.3. მესამე ეტაპზე საკონკურსო კომისია აკეთებს შემაჯამებელ შეფასებას . შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კომისია იღებს კონკურსანტის აყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას, რაც ფორმდება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

5.11.4. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5.11.5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

5.11.6. საკონკურსო კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საქმიანობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური.

5.11.7. რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, განმცხადებლებს, რომლებიც შეირჩნენ და მონაწილეობა მიიღეს კონკურსის მეორე ეტაპზე,

ეცნობებათ კონკურსის შედეგების შესახებ, ხოლო აყვანილ კანდიდატებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

5.12. კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომისიის წინაშე შემდეგი წესის შესაბამისად:

5.13. კანდიდატის მიერ კომისიის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში იქმნება სააპელაციო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება და არ შეიძლება იყოს 3 (სამი)-ზე ნაკლები. კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით შედის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელი, სულ მცირე 1 (ერთი) დარგის გარე სპეციალისტი, ხმის მიცემის უფლებით. კომისიის მდივანი, რომელიც არ მონაწილეობს ხმის მიცემის პროცედურაში.

5.13.1. კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს შედეგი, მისი გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

5.13.2. კომისიას ეძლევა არაუმესტეს 1 (ერთი) თვე საკითხის შესასწავლად.

5.13.3. პირველ ეტაპზე კომისია შეისწავლის საბუთებს, ხოლო მეორე ეტაპზე კომისია ხელახლა გაესაუბრება კანდიდატს და მოხდება ხელახალი ქულობრივი შეფასება. დანართი# 1 ან დანართი #2 შესაბამისად.

მუხლი 6. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ

6.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 5 (ხუთი) წლის ვადით რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არანაკლებ 3 აქტივობა (მუხლი 7-დან), აქედან მინიმუმ 1 (ერთი) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით.

6.2. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უვადოთ , რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არანაკლებ 3 აქტივობა (მუხლი 7-დან), აქედან მინიმუმ 1 (ერთი) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით. რომელიც 5

წელიწადში ერთხელ ექვემდებარება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას, პროფესორის, პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

6.3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება, არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არანაკლებ 2 აქტივობა (მუხლი 7-დან), აქედან მინიმუმ 1 (ერთი) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით.

6.4. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 (ოთხი) წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისი მიმართულებით - ასისტენტ-პროფესორისთვის სულ მცირე 1 (ერთი);

6.5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი 3 წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

6.6. რეგულირებად პროგრამებზე აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის წესი განისაზღვრება შესაბამისი დარგობრივი დოკუმენტით.

6.7. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

6.8. პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ კრიტერიუმებს:

6.8.1. დარგის შესაბამისი მიმართულებით მუშაობის გამოცდილება - ასისტენტისთვის სულ მცირე 2 (ორი) წელი, ასისტენტ-პროფესორისთვის სულ მცირე 4 (ოთხი) წელი, ასოცირებული პროფესორისთვის სულ მცირე 6 (ექვსი) წელი და პროფესორისთვის სულ მცირე 8 (რვა) წელი);

6.8.2. დარგის შესაბამისი სპეციალური მომზადება, რომელიც დასტურდება მისი პროფესიული გამოცდილებით.შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

6.8.3. თუ პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენა არის უცხო ენა, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს კანდიდატს შესაბამის ენაზე ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია.

6.9. პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე არის მინიმუმ B2, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებით უფრო მაღალი დონე არის განსაზღვრული.

6.10. ენის ცოდნის დონის შეფასების მიზნით ჩატარებულ საჩვენებელ ლექციას/გასაუბრებას წინამდებარე დებულების 5 მუხლით განსაზღვრულ კომისიასთან ერთად, უნდა ესწრებოდეს შესაბამისი ენის არანაკლებ 1 (ერთი) სპეციალისტი. ენის სპეციალიტი არის კომისიის დროებითი წევრი და კომისიის მუშაობაში მისი ჩართვა ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილებით. კანდიდატის ენობრივი კომპეტენციის შეფასების ნაწილში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ენის სპეცილისტის შეფასებას უპირატესობა ენიჭება.

6.11. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული საჩვენებელი ლექციები/გასაუბრება შესაძლოა ჩატარდეს ერთი საჩვენებელი ლექციის/გასაუბრების სახით.

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები

7.1.1. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანამდებობის დაკავებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

7.1.1.1. აკადემიური ან/და სამეცნიერო ხარისხის შესაბამისობა მის მიერ არჩეულ მიმართულებასთან;

7.1.1.2. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლო 5 (ხუთი) კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული მიმართულების/დარგის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობა;

7.1.2. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები) შესრულების დონე ან/და დამსახურებული შეფასებები/რეცენზიები/რედაქტორობა;

7.1.3. სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;

7.1.4. სადოქტორო დისერტაციებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

7.1.5. სხვა კრიტერიუმები, რომელიც განისაზღვრება საკონკურსოგანაცხადში.

მუხლი 8. მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ

8.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (მოწვეული ლექტორი).

8.2. მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს უცხო ენის შესაბამისი ცოდნა (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

8.3. მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული პროფესიული გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და რომელსაც აქვს უცხო ენის შესაბამისი ცოდნა (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

8.4. გამონაკლის შემთხვევაში, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული განსაკუთრებული პროფესიული გამოცდილება ან/და სპეციალური მომზადება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და რომელსაც აქვს უცხო ენის შესაბამისი ცოდნა (საჭიროების შემთხვევაში) და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

8.5. .

8.6. პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონის დადგენა ხდება 6.9 ქვეპუნქტების შესაბამისად.

მუხლი 9. კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის

9.1. უნივერსიტეტში მოწვეული პერონალის მიღება ხორციელდება, როგორც კონკურსის წესით, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ტესტირების, წერითი დავალების, გასაუბრების, პრეზენტაციის წარდგენის ან სხვა შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით, ისე პირის საქმიანობის შეფასებისა და მიღწევების გათვალისწინებით, დამსაქმებლის ან/და დასაქმებულების მხრიდან ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში

კანდიდატის დარგთან შესაბამისობას ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ინიშნება საჩვენებელი ლექცია.

9.2. კონკურსის შემთხვევაში, გასაუბრების შემდეგ, კომისიის გადაწყვეტილებით, მოწვეული ლექტორობის კანდიდატს შესაძლებელია მოეთხოვოს საჩვენებელი ლექციის ჩატარება (საჩვენებელი) ლექცია ტარდება პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენაზე).

9.3. მოწვეული პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ვადები დამოკიდებულია უნ ივერსიტეტის საჭიროებებზე.

9.4. კონკურსის ვადები, კანდიდატის შერჩევის ეტაპები (გასაუბრება, ტესტირება, წერითი დავალება, პრეზენტაციის წარდგენა და ა.შ) და კრიტერიუმები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ვაკანსიის წარმდგენი ერთეულის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე.

9.5. კონკურსის ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური.

მუხლი 10. წარმოსადგენი დოკუმენტები

10.1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა პირებმა განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

10.1.1. პირადობის/ID ბარათის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის თარგმანი/ბინადრობის ნებართვის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

10.1.2. ქართულენოვანი დიპლომის ასლი ან/და ნოტარიულად დამოწმებული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომის/ შესაბამისი სერთიფიკატის თარგმანი. იმ შემთხვევაში თუ დიპლომი ჯერ არ გაცემულა, დამთავრების ცნობის წარდგენა აუცილებელია. ამასთან, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოდგენილ იქნეს აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

10.1.3. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

10.1.4. CV ქართულ და ინგლისურ ენაზე;

10.1.5. დარგის შესაბამისი სამეცნიერო შრომებისა და პუბლიკაციების სია და მათი ასლები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

10.1.6. სილაბუსი პროგრამის სწავლების ენაზე;

10.1.7. ცნობა ყოფილი/ამჟამინდელი სამსახურიდან (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გარდა);

10.1.8. ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);

10.1.9. უცხო პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის ასლი/შესაბამის უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საჭიროების და არსებობის შემთხვევაში). უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი და ასლი ან შესაბამის ენაზე სალექციო კურსების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

10.1.10. არსებობის შემთხვევაში უცხო ენაზე სწავლის ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხო ენაზე სწავლების 1 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში სწავლის ან სწავლების მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება. აკადემიური თანამდებობის პოზიციის დაკავების ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სხვა დოკუმენტაცია;

10.1.11. პროფესიული ნიშნის დამადასტურებელი დოკუმენტები წინამდებარე დებულების 6.7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

10.1.12. არასახელმწიფო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში (გარდა სერტიფიკატებისა), სავალდებულოა სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა.

მუხლი 11. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

11.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, საქმიანობის შეფასების ფორმით,რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძვლზე, რექტორის ბრძანებით, შესაძლოა გახდეს აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

11.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ,,ხარისხის უზრუნველოფის შიდა მექანიზმებით“ დადგენილი წესით.

11.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

11.3.1. პირადი განცხადება;

11.3.2. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა:

11.3.3. ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;

11.3.4. დისციპლინური ნორმების უხეში და/ან სისტემატური დარღვევა;

11.3.5. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა;

11.3.6. პერსონალის წლიური შეფასების ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში;[1]

[1] აკადემიური პესრონალისათვის.

11.3.7. წინამდებარე დებულების მე-5 მუხლით დადგენილი წესით, შესაბამის ვადაში ატესტაციის გაუვლელობა;[2]

11.3.8. მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები შესაძლოა გახდეს მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან ახალი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.

11.3.9. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 12. გათავისუფლების პროცედურები

12.1 ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების საფუძველზე იწერება რექტორის ბრძანება გათავისუფლების თაობაზე

12.2 ბრძანება ეგზავნება დასაქმებულს სამსახურეობრივ მეილზე

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. საკითხები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული აქტებით.

13.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

13.3. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ.

[2] აკადემიური პესრონალისათვის.

IBSU